ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2019 წლის 22 ოქტომბერი

სხდომის ოქმი № 3

ქ. ახალციხე **2019 წელი, 22 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
გურამი მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ქეთევან ინასარიძე	სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი
ზაზა თამარაშვილი	განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ნინო ლომიძე
4. ელენა ბეგიაშვილი
5. მაკა ბერიძე
6. ვასილ კვინცხაძე
7. შალვა ტაბატაძე
8. გიორგი ბუცხრიკიძე
9. ბელა ავალიშვილი
10. მერაბ ბერიძე
11. ნუგზარ თათეშვილი
12. ოგანეს უსტიან
13. ამალია სარქისიან
14. აშოთ კავალერიანი
15. მარეხი ყურმაშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. თამარ კაპანაძე
3. ზაზა ივანიძე
4. პოღოს მაგაკიანი
5. ასთხიკ სარქისიანი
6. დოდო ბერიძე
7. ომარ ჯაყელი
8. ციური ლაფაჩი
9. გივი კაპანაძე
10. გიორგი ანდღულაძე
11. ცირა მესხიშვილი
12. ვალიკო ბალიაშვილი
13. ჭიჭიკო გელაშვილი
14. სუსანა აკოფოვა

დღის წესრიგი

1. 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების შესახებ;
3. 2020 წლის ბიუჯეტის პარამეტრების გაცნობა;
4. საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა, საბჭოს ორი ახალი წევრი აშოთ კავალერიანი და მარეხი ყურმაშვილი წარუდგინა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

ზაზა მელიქიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ესაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე, ესენია: გზების, სასმელი წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სპორტული მოედნებისა და სკვერების მშენებლობა, გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების მონტაჟი, საბავშვო

ბაღებისა და სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ამბულატორიების მშენებლობა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები და სხვა.

კერძოდ: მიმდინარეობს ქალაქ ახალციხის #1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, მომავალ წელს კიდევ ორ საბავშვო ბაღს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ერთის მშენებლობა იგეგმება. ასევე, იგეგმება წყრუთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, ამ ეტაპზე, პროექტი ექსპერტიზაზეა. მერის თქმით, მას შემდეგ რაც საბავშვო ბაღები უფასო გახდა, ამ მხრივ მოთხოვნა დიდი, ამიტომ მუნიციპალიტეტისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

მერმა საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზეც ისაუბრა. ამ დროისთვის, უკვე დასრულებულია: წინუბანი-გურკელის საავტომობილო გზა (პროექტის ფარგლებში ასფალტის საფარი დაიგო გზის 3100 მეტრიან მონაკვეთზე), ტყემლანის გზა (პროექტის ფარგლებში ასფალტის საფარი დაიგო გზის 1850 მეტრიან მონაკვეთზე), ნაოხრების გზა (პროექტის ფარგლებში ბეტონის საფარი გზის 1200 მეტრიან მონაკვეთზე დაიგო და მოეწყო სანიაღვრე არხი), ანრდიაწმინდა-ანდის გზა (გზის 1700 მეტრიან მონაკვეთზე დაიგო ბეტონის საფარი), ხეოთის გზა (ასფალტის საფარი დაიგო გზის 2500 მეტრიან მონაკვეთზე), აგარების მონასტრამდე მისასვლელი გზა (პროექტის ფარგლებში გზის 4,8 კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი მოეწყო), სოფელ ზემო სხვილისის გზა (საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა შიდა სასოფლო გზის 400 მეტრიან მონაკვეთზე).

ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ახალციხის ცენტრალური ქუჩების (კეცხოველისა და რუსთაველის) რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც 930 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა, რაც სამანქანო გზასთან ერთად, საფეხმავლო ბილიკების, მიერთებების, ეზოებში შესასვლელების, კედლების და ლითონის ღობეების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

მერმა საბჭოს წევრებს საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მომავალი წლის გეგმებიც გააცნო. 2020 წელს რუსთაველის, ნათენაძის, შალვა ახალციხელის, კოსტავას, დიდიმამიშვილის და 9 აპრილის ქუჩების რეაბილიტაცია მთლიანად დასრულდება. მზადდება პროექტი მიქუტიშვილის ქუჩაზე საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად. მოწესრიგდება თამარ მეფისა და რუსთაველის ძეგლების მიმდებარედ არსებული სკვერები. გაგრძელდება სოფლებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციაც, ესენია: წყრუთის, ანდრიაწმინდა-ანდის და ტყემლანის საავტობილო გზები.

გარდა ამისა, ზაზა მელიქიძის განცხადებით, ქალაქის მასშტაბით თუ სადმე მცირე ქუჩა, ეზო, ჩიხი ან საყრდენი კედელია დარჩენილი სარეაბილიტაციო, ყველას პროექტი მომზადდება და რეაბილიტაცია განხორციელდება.

ასევე ისაუბრა, გარე განათების სისტემების მოწყობაზე. დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მიზნით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე, ლიფტების

რეაბილიტაციაზე. რუსთაველის ქუჩა #124 -ში დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სადაც მერის განცხადებით კულტურული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები განთავსდება.

2020 წელს გაგრძელდება და დასრულდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა, სადარბაზოებისა და სახურავების რეაბილიტაციაც.

სხდომაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მუნიციპალიტეტის სოფლებში ამბულატორიების მშენებლობაზე, მათი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასა და დასაქმებული პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნაზე. დღეისათვის ამბულატორიების მშენებლობა/რეაბილიტაცია მიმდინარეობს: სოფელ თისელში, სოფელ კლდეში, სოფელ აგარაში, სოფელ ღრელში, სოფელ საძელში, სოფელ სხვილისში, სოფელ ურაველში და სოფელ ხეოთში.

მერი საბჭოს წევრებს საახალწლო სამზადისის შესახებაც ესაუბრა და აღნიშნა, რომ ქალაქს წელს ახალი ნაძვის ხე ექნება. მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია ქალაქი ახალ წელს განსაკუთრებულად მორთული და გალამაზებული შეხვდეს.

ასევე, მერმა საბჭოს მომავალი 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი, საბიუჯეტო პარამეტრები და პრიორიტეტები გააცნო. ისაუბრა, კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებზე და დაგეგმილ ღონისძიებებზე.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს' წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი იდეები გააცნეს:

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორი მაკა ბერიძე დაინტერესდა ქალაქსა და მის შემოგარენში გამწვანების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებებით, ისაუბრა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მშენებლობის აუცილებლობაზე და სტუდენტებისთვის საქალაქო ტრანსპორტში შეღავათების დაწესებაზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორის მოადგილემ მერაბ ბერიძემ დადებითად შეაფასა ქალაქში ცენტრალურ ქუჩებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საერთაშორისო ორგანიზაცია world vision-ის წარმომადგენელმა ელენა ბეგიაშვილმა მერიის მხრიდან ქალაქის შიდა ქუჩებზე არსებულ პრობლემებზე რეაგირებისა და წყალმომარაგების კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად გადათხრილ მდგომარეობაში დატოვებულ ქუჩებზე ისაუბრა.

აშოთ კავალერიანმა დადებითად შეაფასა ქალაქის მასშტაბით ვიდეო კამერების დამონტაჟება. ასევე, დაინტერესდა იგეგმება თუ არა ქალაქის შიდა ქუჩებზე (იაძე, თაბუკაშვილი, ორბელიანი) კამერების დამონტაჟება, სადაც მისი თქმით მანქანები სწრაფად გადაადგილდებიან.

მარეხი ყურმაშვილი დაინტერესდა ქალაქის შემოსასვლელში ხომ არ იგეგმება ტრაფარეტის დადგმა, რომელიც ტურისტებისთვის და ვიზიტორებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს ქალაქს. დააყენა ქალაქის ცენტრში დიდი მონიტორის განთავსების საკითხი, რომლის საშუალებით მოქალაქეები მიიღებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებზე, კულტურულ ღონისძიებებზე და მიმდინარე მოვლენებზე. ზაზა მელიქიძის თქმით მერიის სამსახურები ამ საკითხზე მუშაობენ. შერჩეულია ლოკაციაც, სადაც აღნიშნული მონიტორი განთავსდება.

შალვა ტაბატაძემ დადებითად შეაფასა ქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მიმდინარე პროექტებზე ისაუბრა ვასილ კვინცხაძემ, დაინტერესდა ქალაქში სკვერებისა და პარკების მშენებლობის საკითხით. მერის თქმით ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს სკვერის მშენებლობა კოსტავას ქუჩაზე და ასევე დაგეგმილია სკვერის მოწყობა ზარზმელის ქუჩაზეც.

ნუგზარ თათეშვილი დაინტერესდა საბავშვო ბაღებში ენერგო ეფექტურობის კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებზე და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას ამ კუთხით გათვალისწინებულ ხარჯებზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე _____

2 თენგიზ ხითარიშვილი _____

3 მალხაზ მანველიშვილი _____

4 ნინო ლომიძე _____

5 ელენა ბეგიაშვილი _____

6 თამარ კაპანაძე _____

7 ზაზა ივანიძე _____

8 პოღოს მაგაკიანი _____

9 ასთხიკ სარქისიანი _____

10 დოდო ბერიძე _____

11 მაკა ბერიძე _____

12 ვასილ კვინცხაძე _____

13 ომარ ჯაყელი _____

14 შალვა ტაბატაძე _____

15 ციური ლაფაჩი _____

16 გიორგი ბუცხრიკიძე _____

17 ბელა ავალიშვილი _____

18 მერაბ ბერიძე _____

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ოგანეს უსტიან _____

27 ამალია სარქისიან _____

28 აშოთ კავალერიან _____

29 მარეხი ყურმაშვილი _____